ხელშეკრულება №169
სახელმწიფო შესყიდვის .შესახებ

ქ. გორი 17 ნოემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი" (ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ვიქტორ მთვარელიძის (პ/ნ 59001036823) (შემდგომში – მიმწოდებელი), სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს საკუთარი სახსრებით ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV50720000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ობიექტი და საერთო ღირებულება

*2.1.*ხელშეკრულების ობიექტია თენგიზ ბურჯანაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე არსებულ შენობა-ნაგებობაში ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.2შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

2.3.შესყიდვის ობიექტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 137.50 (ასოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადების ჩათვლით. საშემოსავლო გადასახადს იხდის შემსყიდველი ორგანიზაცია ხელზე ასაღები თანხაა 110 (ასათი) ლარი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით.

3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.გორი გურამიშვილის ქ. №5.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

5.3.ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.გურამიშვილის 5.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;

უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

7.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;

7.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა

ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებილ გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოითხოვნებთან.
12.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"- ს ინფრასტრუქტურის მენეჯერის თანაშემწე თამაზ ციცქიშვილი.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"	ფიზ.პირი ვიქტორ მთვარელიძე
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი გორი სამეფოს 44
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:სს თიბისი ბანკი
ბ/კოდი TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
ს/კ 417874973	ანგ.GE23TB7875645061100048
	პირადი ნომერი 59001036823
დირექტორი	
----------	----------
გია ისიანი	ვიქტორ მთვარელიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 17 ნოემბერი 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მიერ 2017 წლის 17 ნოემბერს დადებული N169 ხელშეკრულება ფიზ.პირი ვიქტორ მთვარელიძესთან (პირადი ნომერი 59001036823) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი გია ისიანი

ინფრასტრუქტურის მენეჯერის

თანაშემწე თამაზ ციცქიშვილი

შესყიდვების მენეჯერი სვეტლანა ზაუტაშვილი